

განხილულია პედსაბჭოს სხდომაზე ოქმი #1 06.09.2018 წ.

ვამტკიცებ სკოლის დირექტორი: /მ. ასათიანი/

*კერძო სკოლა „ალბიონის“*

***სამოქმედო გეგმა***

პროექტი

2018 - 2019 sasw.weli

თბილისი





2018 – 2019 სასწავლო წლის დაწყების სტრატეგია

	გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1	2	3	4
1.	<p>ა) სკოლაში 2018-2019 სასწავლო წლის პირველ კლასში ჩასარიცხ ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 18 მოსწავლით.</p> <p>ბ) 2018-19 სასწავლო წლის პირველ კლასში ჩასარიცხ ბავშვთა ასაკი შემოიფარგლოს 2018 წლის 15 სექტემბრამდე დაბადებული ბავშვებით.</p> <p>გ) სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის დაზუსტება და დამტკიცება კლასების მიხედვით, შესაბამისი ბრძანების გაფორმება.</p>	2018 წ. აგვისტო	ადმინისტრაცია
2.	სასწავლო წლის სკოლის მუშაობის რეჟიმის დადგენა. საგნის მეთოდური მოთხოვნის გათვალისწინებით, საგაკვეთილო ცხრილის შედგენა და მისი დაცვის უზრუნველყოფა.	2018 წ. სექტემბერი	დირექტორი
3.	სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით საფეხურზე.	2018 წ. სექტემბერი	დირექტორი
4.	სკოლის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, საკლასო ოთახების დასუფთავება ადგილობრივი ძალებით, სკოლის შენობაში ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.	მთელი სასწ.წლის განმავლობაში	დირექტორი, სკოლის მთელი კოლექტივი
5.	<p>სასკოლო ინვეტარის შეკეთება.</p> <p>ელექტროქსელის შემოწმება, შეკეთება.</p> <p>კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების დამთავრება სკოლის ფოიესა და საკლასო ოთახებში.</p> <p>სკოლის სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნათა დაკმაყოფილება მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად.</p>	2018 წ. აგვისტო	დღის დარაჯი, დამხმარე მუშა დირექტორი
6.	დამატებითი მომსახურების შეთავაზება სკოლის მოსწავლეებისათვის: ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი და დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო გეგმა	2018-19 სასწავლო წელი	დირექტორი
7.	<p style="text-align: center;"><b>საგანმანათლებლო:</b></p> <p>1. მათემატიკა</p>	2018-19 სასწავლო	დირექტორი კათედრის გამგე

	<p style="text-align: center;">I კლასი ( I სემესტრი ) – 1 კვ. სთ</p> <p style="text-align: center;">VI კლასი - 1 კვ. სთ</p> <p style="text-align: center;">2. პირველი უცხოური ენა ( ინგლისური ენა)</p> <p>I კლასი ( I სემესტრი ) – 1 კვ. სთ, I კლასი ( II სემესტრი ) – 2 კვ. სთ.</p> <p>II კლასი - 3 კვ. სთ.</p> <p>III – VI კლასი - 2 კვ. სთ.</p> <p style="text-align: center;">3. მეორე უცხოური ენა ( რუსული ენა )</p> <p style="text-align: center;">IV კლასი - 2 კვ. სთ.</p> <p style="text-align: center;">4. ჭადრაკი</p> <p style="text-align: center;">I – VI კლასი - 1 კვ. სთ</p> <p style="text-align: center;">სააღმზრდელო:</p> <p>სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა სავალდებულოდ წარიმართება გახანგრძლივებული დღის რეჟიმით I-VI კლასებში.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ გახანგრძლივებული 14:15---18:00</li> <li>▪ ერთჯერადი კვება</li> <li>▪ სადილი 14:00-14:55 სთ. (I-II-III-IV)</li> </ul>	წელი	
8.	<p>სკოლის მართვისა და დაფინანსების ოპტიმიზაცია, სკოლის ბიუჯეტის დადგენა, მიზნობრივი ხარჯვა და მათზე კონტროლი. ცვლილებები სკოლის შინაგანაწესში და მისი გაცნობა</p>	2018 წ. სექტემბერი	დირექტორი ბულალტერი იურისტი
9.	<p>ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ზეიმის ორგანიზებულად ჩატარება.</p>	2018 წ. სექტემბერი	დირექტორი, სკოლის კოლექტივი

## II თავი

### სკოლის დოკუმენტაციის მართვის სისტემა

	გათვალისწინებული ღონისძიებათა დასახელება	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1	2	3	4
1.	შვებულებიდან დაბრუნებულ მასწავლებელთა და სკოლის მუშაკთა ბრძანებების გაფორმება, კონტროლი.	2018 წ. სექტემბერი	იურისტი
2.	პედაგოგთა შორის საათების განაწილება. დამტკიცებული ბრძანებების გაფორმება და კონტროლი.	2018 წ. სექტემბერი	დირექტორი
3.	სკოლიდან გასულ და სკოლაში მოსულ მოსწავლეთა სიების დადგენა, შესაბამისი ბრძანებების გაფორმება და კონტროლი.	2018-19 სასწავლი წელი	საქმეთა მმართ.
4.	სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება, მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და კონტროლი.	2018 წ. სექტემბერი	იურისტი
5.	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პერიოდულად ინფორმირება სკოლიდან გასულ და სკოლაში მოსულ მოსწავლეთა რაოდენობაზე.	მთელი სასწ.წელი	დირექტორი
6.	მოსწავლის მშობლებთან ხელშეკრულებების გაფორმება.	2018 წ.ივნისი	კლასის დამრიგებლები
7.	ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სკოლის 2018-2019 საწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმის, ერთწლიანი სამუშაო გეგმების დამტკიცება და კონტროლი.	მთელი სასწ.წელი	დირექტორი იურისტი

## III თავი

### განათლების რეფორმის განხორციელების ღონისძიებები

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1	2	3	4
1.	ა) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში წარმოდგენილ საგანმანათლებლო იდეალების მიღწევა. ბ) მშობლიური ენის სიწმინდის დაცვაზე ზრუნვა.	2018-19 სასწავლი წელი	სკოლის მთელი კოლექტივი

<p>2.</p>	<p>გ) საგნობრივი სტანდარტების დადგენა /საგნის სწავლისას მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები/ შეფასების რუბრიკების შემუშავება</p> <p>ა) მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა;</p> <p>ბ) შეფასების კრიტერიუმები უნდა გამომდინარეობდეს იმ მისაღწევი შედეგებიდან, რასაც მასწავლებელი ისახავს გაკვეთილის ან ერთი თემის შესწავლისას;</p> <p>გ) საგნის ნიშანი უნდა გამოხატავდეს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას, ხოლო მოსწავლე არასათანადო საქციელისათვის /რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან/ საგნის ნიშნით არ უნდა დასაჯოს;</p> <p>დ) მოსწავლის შეფასების ოფიციალური სტატუსი:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნები</li> <li>2. საგნის სემესტრული ნიშანი</li> <li>3. სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდის ნიშანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>3. საგნის წლიური ნიშანი</li> <li>5. საფეხურის საერთო ნიშანი</li> </ol> <p>შეიქმნას სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის შესაბამისი სასწავლო სტანდარტების პირობები. სწავლისა და სწავლების ეფექტურობის მიზნით სკოლაში განხორციელდეს:</p> <p>ა) ინტეგრირებული გაკვეთილები</p> <p>ბ) საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის ორიენტირება თითოეულ მოსწავლეზე</p> <p>გ) მიმდინარე სასწავლო პროცესების კონტროლირება მოსწავლეთა მაქსიმალური დატვირთვისა და მათი უნარ-ჩვევების გამომჟღავნება.</p> <p>შიდასასკოლო ოლომპიადებში (მათემატიკა, ქართული, ინგლისური) მოსწავლეთა ჩაბმა. ნორჩ კალიგრაფისტთა კონკურსი.</p> <p>სკოლაში სწავლა განხორციელდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით.</p> <p>სკოლის მიერ მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლებისათვის მათი უფლება / მოვალეობების გაცნობა.</p> <p>სკოლაში სასწავლო პროცესის პოლიტიზირების აკლმალვა.</p>	<p>მთელი სასწავლო წლის მანძილზე</p> <p>სასწავლო წლის მანძილზე</p>	<p>სკოლის დირექცია, კათედრის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლები</p> <p>საგნის მასწავლებლები</p> <p>საგნის მასწავლებლები</p> <p>დირექტორი</p>
<p>3.</p>	<p>ა) ინტეგრირებული გაკვეთილები</p> <p>ბ) საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის ორიენტირება თითოეულ მოსწავლეზე</p> <p>გ) მიმდინარე სასწავლო პროცესების კონტროლირება მოსწავლეთა მაქსიმალური დატვირთვისა და მათი უნარ-ჩვევების გამომჟღავნება.</p>	<p>სასწავლო წლის მანძილზე</p>	<p>საგნის მასწავლებლები</p>
<p>4.</p>	<p>სკოლაში სწავლა განხორციელდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით.</p> <p>სკოლის მიერ მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლებისათვის მათი უფლება / მოვალეობების გაცნობა.</p> <p>სკოლაში სასწავლო პროცესის პოლიტიზირების აკლმალვა.</p>	<p>2018 წ. სექტემბერი</p>	<p>დირექტორი</p>

## IV თავი

### პედაგოგიურ (საგნობრივ) კათედრებთან მუშაობა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	<p>საგანთა ფუნქციური გაერთიანების შექმნა, საგნობრივი ჯგუფების მასწავლებელთა კათედრების თავმჯდომარეების შერჩევა და დამტკიცება, კონტროლი მათ მუშაობაზე.</p> <p>სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეტანილი ცვლილებების გაცნობა პედაგოგიური კოლექტივისათვის.</p>	2018 წელი სექტემბერი	დირექტორი კათედრის ხელმძღვანელები
2.	<p>დამწყებ და ახალგაზრდა მასწავლებლებთან მეთოდური და პედაგოგიური დახმარების თვალსაზრისით მუშაობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარება, მათთვის გამოცდილების გაზიარება:</p> <p>მოწინავე მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრება და ანალიზის გაკეთება.</p> <p>მეთოდური ლიტერატურის, დამხმარე დიდაქტიკური მასალების, ბრძანების, ინსტრუქციებისა და მეთოდური რეკომენდაციების დაყვანა თითოეულ პედაგოგამდე და კონტროლი მის შესრულებაზე.</p>	2018-2019 სასწავლო წელი	კათედრის ხელმძღვანელები
3.	<p>კლასის ხელმძღვანელთათვის მეთოდური ხასიათის სემინარებს ჩატარება და მუშაობის შემოქმედებითი ხასიათის მიცემისათვის ღონისძიებების დასახვა, მათი ანგარიშების პერიოდული მოსმენა.</p> <p>ა) ამა თუ იმ პრობლემური საკითხის სწავლებასთან დაკავშირებით;</p> <p>გ) შიდასასკოლო კონტროლის მიზნით სასკოლო წერების ჩატარება. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობის მიღება ოლიმპიადებსა და კონფირენციებში;</p> <p>დ) მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრება და ანალიზის გაკეთება.</p>	2018-2019 სასწავლო წელი	დირექტორი
4.	<p>მეთოდური ლიტერატურა, დამხმარე დიდაქტიკური მასალების, ბრძანებების ინსტრუქციებისა და მეთოდური რეკომენდაციების დაყვანა თითოეულ პედაგოგამდე და კონტროლი მის შესრულებაზე.</p>	პერმანენტულად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	დირექტორი
5.	კლასის ხელმძღვანელთათვის მეთოდური ხასიათის		



6.	<p>სემინარების ჩატარება და მუშაობის შემოქმედებითი ხასიათის მიცემისათვის ღონისძიებების დასახვა, მათი ანგარიშების პერიოდული მოსმენა.</p> <p>ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის განსახორციელებლად ღონისძიებების დასახვა და გატარება სასკოლო საქმიანობაში, ეფექტური მეთოდებისა და გზების დასახვა რეფორმის საკითხების ღრმად და შეგნებულად გაანალიზებისათვის, სწავლებაში მისი პრინციპების დანერვისათვის:</p> <p>ა) გაკვეთილზე მოსწავლეებისთვის თავისუფალი აზროვნების გამომუშავებისა და მასალის შეგნებულად სწავლის ჩვევის გამომუშავება;</p> <p>ბ) მოსწავლეებში პრაქტიკული და ლოგიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება საფუძვლიანი ცოდნის შესაძენად;</p> <p>გ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ;</p> <p>დ) დანერვა ეფექტური სწავლებისა და სწავლისა: /ტრენინგული გაკვეთილები, ვენური დიაგრამის ეფექტურობა და მისი დანერგვა საგაკვეთილო პროცესში/</p> <p>ე) სწავლის პროცესში ბავშვებზე ორიენტირებული კოლექტივის წევრთა მუშაობა განათლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისათვის.</p>	2018-2019 სასწავლო წელი	კათედრის ხელმძღვანელები ფასილიტატორი
----	--	----------------------------	--

## V თავი

### პედაგოთა კვალიფიკაციის ამაღლება

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	<p>ახალგაზრდა მასწავლებელთა დახელოვნების მიზნით ღონისძიებების გატარება:</p> <p>ა) მუშაობის დაეგმვა;</p> <p>ბ) გაკვეთილების შემოქმედებითი /არასტანდარტული გეგმის შედგენა/ და სისტემატიური გაანალიზება სასწავლო დარგში დირექტორის და კათედრის ხელმძღვანელთა მიერ;</p> <p>გ) თემატური გეგმის შედგენა;</p> <p>დ) გაკვეთილების ჩატარების ორგანიზება</p> <p>ე) მოსწავლეებთან და მშობლებთან კონტაქტის</p>	პერმანენტულად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	კათედრის ხელმძღვანელები

<p>2.</p> <p>3.</p>	<p>სრულყოფა, თანამშრომლობა:</p> <p>ვ) პედაგოგიური ეთიკისა და ტაქტის გამომუშავება:</p> <p>ზ) მასწავლებლის მეთოდებისა და ხერხების დაუფლებაზე კონტროლი.</p> <p>მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების ორგანიზაცია:</p> <p>ა) წინასწარ ცნობილი:</p> <p>ბ) მითითებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება:</p> <p>გ) მონათესავე საგნის მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგების გაანალიზება:</p> <p>დ) ინტეგრირებული გაკვეთლის ჩატარების დანერგვა: ცვლილებებისა და ალტერნატიული სახელმძღვანელოების დაყვანა მასწავლებლამდე.</p> <p>მასწავლებელთა აღჭურვა საგნობრივი პერიოდული პრესით. ახალგაზრდა მასწავლებელთა მიერ თემატური კალენდარული გეგმის შედგენის უზრუნველყოფა.</p> <p>შემაჯამებელი სამუშაოების განრიგის შედგენა, ინოვაციური გაკვეთილების შესწავლა, გაანალიზება დირექციის დასწრების გზით. ინოვაციური ნომინაციების შემუშავება.</p>	<p>2018-2019 სასწავლო წელი</p> <p>სასწავლო წლის დასაწყისი</p>	<p>დირექტორი</p> <p>დირექტორი</p>
---------------------	--	---	-----------------------------------

## VI თავი

### მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	<p>ღია კარის ჩატარება სამოდულო გაკვეთილების ჩვენებით:</p> <p>ა) თემატიკური პარალელების ამსახველი გაკვეთილების ჩატარება:</p> <p>ბ) მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა წახალისებისა და მათი მეთოდური დახელოვნების მიზნით ნომინაციების შემუშავება;</p>	2018-2019 საწავლო წელი	კათედრები

	გ) დამწყებ მასწავლებელთათვის შიდასასკოლო სემინარების, ლექციების ჩატარება პრაქტიკოს მასწავლებელთა მიერ.		
--	--	--	--

**VII თავი**

**სასწავლო აღმზრდელითი საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი  
ლონისძიებები პედაგოგიური შრომის ეფექტურობისა და სწავლების ხარისხის ამაღლების  
უზრუნველსაყოფად.**

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1	<p>პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის წარმართვა დევიზით:</p> <p>ა) „გზა გაკვეთილის ახალი მოდელისაკენ“</p> <p>ბ) „დავეუფლოთ ერთ ან რამდენიმე ნომინაციას“,</p> <p>გ) ტესტირებული გამოკვლევისა და წერითი სამუშაოების ჩატარების ორგანიზაციის გაუმჯობესება;</p> <p>დ) ენის სიწმინდის დაცვისა და განმტკიცების მიზნით სკოლაში კუთხეების, გამოფენების მოწყობა, სხვადასხვა ვიზუალური(თვალსაჩინოების) მასალით ზრუნვა თვითმყოფადი ენისა და კულტურის განვითარებაზე;</p> <p>ე) პრიორიტეტულ საგნებში მასწავლებელთა მიერ ტესტური სისტემის აქტიური გამოყენება ზეპირი და წერითი მეტყველების დროს, მასწავლებელთა ცოდნის ღონის ამაღლების ღონისძიებათა დასახვა;</p> <p>ვ) მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მიღება;</p> <p>ზ) სარეფორმო პროგრამის განხორციელება და მისდამი დოკუმენტაციის დროულად მოწესრიგება.</p> <p>თ) კლასების ხელმძღვანელთა სააღმზრდელო გეგმის შედგენის შესახებ სემინარის ჩატარება;</p> <p>ი) მოსწავლეებთან მასობრივი მუშაობის დაგეგმვა, მათთან თანამშრომლობის შესახებ;</p> <p>კ) სასწავლო ექსკურსიების საკონტროლო წესების, ფაკულტატური მეცადიენობის განრიგის დროულად</p>	პერმანენტულად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	დირექტორი კლასის დამრიგებლები

<p>2.</p> <p>3.</p> <p>4.</p> <p>5.</p>	<p>შედგენა და კონტროლი მათ მუშაობაზე;</p> <p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანების–პირველ კლასში 5 წლის ასაკის ბავშვთა მიღების წესების შესახებ მითითება ზუსტი დაცვით მოსწავლეთა ჩარიცხვის უზრუნველყოფა I-VI კლასებში.</p> <p>სამუშაო გეგმის დამტკიცება:</p> <p>ა) სკოლის წლიური სამუშაო გეგმა;</p> <p>ბ) კლასების ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმის დამტკიცება ;</p> <p>გ) საგნობრივი კათედრების წლიური სამუშაო გეგმა.</p> <p>გაკვეთილებზე ლექციური, სემინარული მეთოდების, თემატური ჩათვლების გამოყენების, პრაქტიკულების, ლაბორატორიული სამუშაოების, კონსულტაციების და ტესტური მეთოდების ფართო დანერგვაზე გაძლიერება და განხორციელებაზე კონტროლი.</p> <p>ღონისძიებების გატარება მოსწავლის დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, ნიშანი, როგორც შეფასების კრიტერიუმში.</p> <p>განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა</p>	<p>პერმანენტულად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში</p> <p>2018 წელი სექტემბერი</p> <p>პერმანენტულად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში</p> <p>პერმანენტულად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში</p>	<p>დირექტორი იურისტი</p> <p>დირექტორი კათედრის ხელმძღვანელები</p> <p>დირექტორი კათედრის ხელმძღვანელები</p> <p>კლასის დამრიგებლები</p>
---	---	---	---

### VIII თავი

#### ღონისძიებები საინოვაციო მოქმედების უზრუნველსაყოფად

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	<p>ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენისა და მათთან მუშაობის გზებისა და ხერხების ძიება:</p> <p>ა) დამოუკიდებელი წერების ჩატარება;</p> <p>ბ) ახალი მოდელის გაკვეთილების ჩატარების ორგანიზაცია;</p> <p>გ) გაკვეთილების ინოვაციური ვარიანტები: „ვარსკვლავთცვენა“, „შტრიხები“, „ლიტერატურული პერსონაჟები“, „სახალისო გრამატიკა“, ლიტერატურული ოაზისი, საანგარიშო გაკვეთილი,</p>	მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	კლასის დამრიგებლები

საჩვენებელი გაკვეთილი, ჯგუფური მუშაობა, ინტერაქტიული მეთოდი, განმავითრებული გაკვეთილები, ტრენინგული გაკვეთილი და სხვა.		
--	--	--

### IX თავი

#### მოსწავლეთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	საუბრების ჩატარება: ა) საქართველო და მისი ხვალისდელი დღე; ბ) პიროვნება და საზოგადოების ინტერესთა ჰარმონია; გ) ზნეობრივი აღზრდა - თავმოყვარეობისა და ღირსების განცდა; დ) ძმათა სისხლისღვრა ეროვნული დანაშაულია.		
2.	დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის თოჯინების თეატრის სპექტაკლზე დასწრება;	პერმანენტულად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	კლასის დამრიგებლები ხელოვნების მასწავლებელი
3.	კოლექტიური სვლის ორგანიზება სხვადასხვა თეატრებში. მოეწყოს შეხვედრები მსახიობებთან თემაზე: „თეატრის როლი ბავშვის ზნეობრივ აღზრდაზე“. კედლის გაზეთების გამოფენა–კონკურსი. სკოლაში ჯანსაღი წესის დამკვიდრება; ჯგუფური მუშაობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის უნარების გამომუშავება. შრომითი, პრაქტიკული უნარ–ჩვევების განვითარება. განუვითაროთ მოზარდებს ხელოვნების ნიმუშების შექმნისა და მათი შეფასების, შეცნობის უნარი.		

### X თავი

#### კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	მოსწავლეთა აღზრდა სამშობლოსადმი სიყვარულითა და მათში საზოგადოებრივი აქტიურობს განვითარება. ექსკურსიების მოწყობა საქართველოს ღირშესანიშნავ ადგილებში, კერძოდ თბილისში: ა) სახელმწიფო და ისტორიული მუზეუმები; ბ) წმინდა სამების საკათედრო კომპლექსი; გ) ორბელიანთა სამოსახლო.		

	<p>სკოლის მოსწავლეთა კონკურსი /სათამაშოებისა და ნახატების გამოფენა/:</p> <p>ა) მთაწმინდისა და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებში თემატური გაკვეთილები ჩატარება;</p> <p>ბ) დმანისის ახალი გათხრების შედეგად აღმოჩენილი ჰომოდადამიანთა ნამარხები.</p> <p>გ) თემატური ნახატების გალერეის მოწყობა;</p> <p>დ) ლიტერატურული სადამოს მოწყობა;</p> <p>ე) თეატრალური საათი.</p> <p>ექსკურსია–ლაშქრობის მოწყობა საქართველოს ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად: გასვლითი ექსკურსია–გაკვეთილების ჩატარება დევიზით: „გავისუსები, გავდიადდები და ავენთები მამულს კელაპტრად“.</p>	<p>მთელი სასწავლო წლის განმავლობაში</p>	<p>ხელოვნების პედაგოგი</p> <p>საგნობრივი კათედრები</p> <p>დირექტორი</p>
--	--	---	---

## XI თავი

### ბავშვთა უფლებების დაცვა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	<p>აღმზრდელობითი სისტემის დანერგვა;</p> <p>ბავშვთა ძირითად ორიენტირებაზე აქტიური ყურადღება: ადამიანი–ოჯახი–მამული–შრომა–განათლება–კულტურა–დედამიწა–სამყარო–მშობლიური ენა–სარწმუნოება.</p> <p>მხიარულთა და საზრინთა კლუბის ეფექტიანობის გაზრდა. მოსწავლეთა მონაწილეობა ინტელექტუალურ ღონისძიებებში; სპორტის სასკოლო და საქალაქო შეჯიბრებებში.</p> <p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მითითების გაცნობა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კლასიდან–კლასში გადაყვანის ინსტრუქციაში ცვლილებების შესახებ“, მოსწავლეთა შეფასების სისტემაში ცვლილებების შესახებ(თუ ასეთი იგეგმება)</p>	<p>მთელი სასწავლო წლის განმავლობაში</p>	<p>დირექტორი იურისტი</p>

ა) პედკოლექტივისათვის;		
ბ) მოსწავლეებისათვის;		
გ) მოსწავლეთა მშობლებისათვის.		

## XII თავი

### სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება, დაფინანსება, ანგარიშგება

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	<p>სკოლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით თანხების დროულად ათვისებაზე კონტროლი.</p> <p>სასკოლო ინვენტარზე გამოყოფილი თანხით ინვენტარის შეძენის უზრუნველყოფა /თუ ამის საშუალება იქნება/.</p> <p>თვალსაჩინოების მასალების შეძენაზე თანხის გეგმაზომიერად განაწილება /თუ ამის საშუალება იქნება/.</p> <p>ყოველგვარი ანგარიშწორების დოკუმენტაციის დროულად წარმოება.</p> <p>სკოლისათვის მიმდინარე რემონტის გატარების ღონისძიებების დასახვა.</p>	პერმანენტულად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	დირექტორი ბუღალტერი

## XIII თავი

### სკოლის შიდასასკოლო კონტროლის გეგმა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1.	<p>ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის გზებისა და ხერხების საშუალებების სრულყოფის შემოწმება.</p> <p>მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმება შერჩევით - კლასებში და საგნებში.</p> <p>მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმება წერითი მუშაობის გამო:</p> <p>ა) შიდასასკოლო წრეები/საგნების შერჩევით/;</p> <p>ბ) ტესტირებული გამოკითხვა;</p> <p>გ) გაკვეთილებზე დასწრება;</p> <p>დ) აკადემიურად სუსტ მოსწავლეებთან მუშაობა</p>	მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	დირექტორი კათედრის ხელმძღვანელები

	<p>/გაკვეთილებზე შერჩევითი კლასები/.</p> <p>სკოლის რეჟიმის ძნელად შეგუებულ მოსწავლეთა კონტროლი და მათთან მუშაობაში ფსიქოლოგის ჩაბმა.(თუ ასეთი მოსწავლე აღმოჩნდება სკოლის მოსწავლეთა შორის)</p>		
--	--	--	--

**XIV თავი**  
**შიდასასკოლო კონტროლი**

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1	2	3	4
1.	<p>მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილის მოსმენა და ანალიზი.</p> <p>მასწავლებლებთან ჯგუფური და ინდივიდუალური საუბრების ჩატარება.</p> <p>პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომაზე საკითხების განხილვა და მიღებული დადგენილებების შესრულებაზე კონტროლი.</p> <p>სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების ხარისხის შემოწმება.</p> <p>მოსწავლეთა მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა.</p> <p>მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში მიღებული შედეგიანობის გაანალიზება.</p> <p>მოსწავლეთა ცოდნის დონის კონტროლი:-</p> <p>ზეპირი გამოკითხვა, ტესტური გამოცდები.</p> <p>მიღებულ შედეგთა გაანალიზება. მასზე დაყრდნობა.</p> <p>შემოწმების შედეგად მოცემული რეკომენდაციების შესრულება, თემების მომზადება და ლექციების წაკითხვა მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით.</p> <p>მასწავლებლის მომზადების და ურთიერთთანამშრომლობის შემოწმება მოსწავლეთა ცოდნის საფუძველზე.</p>	მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	დირექტორი კათედრის ხელმძღვანელები

**XV თავი**  
**დამხმარე ლიტერატურა**

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1	2	3	4
1.	სიახლეთა და ცვლილებათა ამსახველი ბუკლეტების, საინფორმაციო ბიულეტენების გაცნობა –		



2.	დამუშავება შესაბამისი საგნების მიხედვით. ახალი მეთოდური ლიტერატურის გაცნობა– დამუშავება და სწავლების პროცესში მისი აქტიური გამოყენება		
3.	გაკვეთილის წარმართვა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად		
4.	ზემდგომი ორგანოების მიერ დამუშავებული ბრძანებების, ცირკულარული წერილების გაცნობა– დამუშავება, როგორც ერთგვარი სტრატეგიული რესურსი.	მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	დირექტორი იურისტი ფასილიტატორი კათედრის ხელმძღვანელი
5.	პერიოდული პრესის–მათ შორის საგანმანათლებლო ჟურნალ–გაზეთების და საგნობრივი ლიტერატურის გამოწერა–დამუშავება და სწავლის პროცესში მისი გამოყენება, სურვილისამებრ.		
6.	ახალ სასკოლო სახელმძღვანელოებზე პედაგოგთა კოლექტივის მუშაობა.		

## XVI თავი

### მშობელთა ჩართულობა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმგებელი
1	2	3	4
1.	მშობელთა მონაწილეობა სკოლის მოსამზადებლად ახალი სასწ.წლისთვის: ა) წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადასაჭრელი გზების ერთობლივი მონახვა. ბ) სპორტული ღონისძიებების, ექსკურსიების ორგანიზებულად ჩატარება; გ) მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენებისა, დისციპლინის დარღვევის მშობლამდე დაყვანა.	2018 წელი აგვისტო, სექტემბერი	კლასის დამრიგებელი
2.	მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით ლექციების ჩატარება. ა) ადგილობრივი კადრებით; ბ) მოწვეული ლექტორებით.	მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	კლასის დამრიგებელი